მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N22
29 სექტემბერი 2023 წ.

დაბა მესტია

,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის გახორციელების წესი“მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 სექტემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანულის კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის გახორციელების წესი მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 სექტემბრის N19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 01/09/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.103.016412).

დადგენილებით დამტკიცებული სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის გახორციელების წესის დამტკიცების თაობაზე.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მაიზერ ჯაფარიძე**